საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

მოსამართლე -- -- მიმართ
დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის თაობაზე

14 მაისი 2018 წელი **ქ. თბილისი**

დისციპლინური საქმე №136/17

-- -- 2017 წლის 31 ივლისის №-- საჩივრის საფუძველზე „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-7 მუხლის შესაბამისად (2018 წლის 1 მაისამდე მოქმედი რედაქცია), საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე -- -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმება.

წინასწარი შემოწმების შედეგად მომზადებული 2018 წლის 20 აპრილის №136/17 დასკვნა დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ წარდგენილ იქნა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2018 წლის 14 მაისის სადისციპლინო სხდომაზე განსახილველად.

1. დისციპლინური დევნის დაწყების საფუძვლიანობის შემოწმება განხორციელდა საჩივრებში მითითებულ შემდეგ ფაქტებზე:

საჩივრის ავტორის განმარტებით, მოსამართლემ მიკერძოებულად განიხილა საქმე. კერძოდ, 2017 წლის 23 ივლისს გამართულ სხდომაზე გამოცხადდა მოქალაქე, რომელსაც სასამართლოს შემადგენლობა ფეხზე წამოდგომით შეეგება, ის დაესწრო სასამართლოს სხდომას და მისი დასრულებისთანავე მოწინააღმდეგე მხარესთან ერთად დატოვა დარბაზი კმაყოფილი სახით, რადგან მოსამართლემ დაარღვია კანონი და მიკერძოებული, მათთვის სასურველი გადაწყვეტილება მიიღო.

საჩივრის ავტორის მითითებით, 2017 წლის 23 ივლისს გამართულ სხდომაზე ნათლად ჩანს, რომ მოსამართლე არ იცნობს მის მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებებს, რადგან მათზე მითითება ხდება მისი წარმომადგენლის მიერ.

ამასთან, საჩივრის ავტორის განმარტებით, მან ორჯერ მიმართა სასამართლოს სხდომის ოქმის აუდიო-ვიდეო ჩანაწერის მოთხოვნით რაზეც უარი ეთქვა, რაც მისი აზრით, განპირობებულია იმ მოტივით, რომ არ მომხდარიყო იმ პირის იდენტიფიცირება, რომელმაც გავლენა მოახდინა მოსამართლეზე.

2. დისციპლინური საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების შედეგად დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დადგენილ იქნა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

2016 წლის 22 აპრილს -- -- სარჩელით მიმართა -- საქალაქო სასამართლოს, მოპასუხის - -- -- მიმართ, თანხის დაკისრების მოთხოვნით. საქმე განსახილველად გადაეცა მოსამართლე -- --.

2016 წლის 3 მაისს მოპასუხე -- -- ჩაბარდა სარჩელი და თანდართული მასალები. 2016 წლის 10 მაისს მოპასუხემ წარმოადგინა შესაგებელი.

2016 წლის 10 ოქტომბერს -- -- მოხსენებითი ბარათით მიმართა -- საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარეს და ითხოვა განტვირთვის მიზნით, აღნიშნული საქმის სხვა მოსამართლისათვის გადაცემა. 2016 წლის 10 ოქტომბრიდან საქმე განსახილველად გადაეცა მოსამართლე -- --.

2016 წლის 3 ნოემბრის განჩინებით სამოქალაქო საქმის წარმოება შეჩერდა -- საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის წარმოებაში არსებულ -- საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე.

2016 წლის 14 ნოემბერს მოსარჩელის, -- -- წარმომადგენელმა -- -- კერძო საჩივრით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა 2016 წლის 3 ნოემბრის განჩინების გაუქმება.

-- სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 29 დეკემბრის განჩინებით -- -- კერძო საჩივარი დაკმაყოფილდა, გაუქმდა -- საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 3 ნოემბრის საქმის წარმოების შეჩერების შესახებ განჩინება.

2017 წლის 7 თებერვლის განჩინებით დაინიშნა სასამართლოს მთავარი სხდომა 2017 წლის 22 თებერვალს, რის შესახებაც ეცნობათ მხარეებს (07.02.2017წ. აქტი).

2017 წლის 20 თებერვალს -- -- შეგებებული სარჩელით მიმართა -- საქალაქო სასამართლოს, მოპასუხე -- -- მიმართ და მოითხოვა უძრავი ქონების ფასის შემცირება.

-- -- მიერ წარდგენილი შეგებებული სარჩელის გამო მოსამზადებელი სხდომა გადაიდო სხვა დროისთვის, რის შესახებაც სასამართლოს სხდომის მდივნის მიერ შედგა აქტი და აღნიშნულის თაობაზე ეცნობათ მხარეებს.

2017 წლის 22 აპრილს გამართულ სასამართლო სხდომაზე მოსარჩელე მხარემ დააყენა შუამდგომლობა მოსამართლის აცილების თაობაზე, რომელიც არ დაკმაყოფილდა. ამავე სხდომაზე დაკმაყოფილდა შეგებებული სარჩელით მოსარჩელე -- -- შუამდგომლობა იურიდიული მომსახურების გაწევის თაობაზე ხელშეკრულების დართვასთან დაკავშირებით.

2017 წლის 12 ივნისს გამართული სასამართლოს მოსამზადებელი სხდომა გადაიზარდა მთავარ

სხდომაში, რომელიც საქმის განხილვისათვის განკუთვნილი დროის ამოწურვის გამო გადაიდო 2017 წლის 23 ივნისს.

2017 წლის 23 ივნისს გამართულ სასამართლო სხდომაზე სათათბირო ოთახში გაუსვლელად მოსამართლემ გამოაცხადა გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი, რომლითაც მოსარჩელე -- -- სასარჩელო მოთხოვნა დაკმაყოფილდა, ხოლო შეგებებული სარჩელით მოსარჩელეს უარი ეთქვა სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე.

2017 წლის 13 ივლისს -- -- წარმომადგენელმა -- -- განცხადებით მიმართა -- საქალაქო სასამართლოს და მოითხოვა საქმის მასალების გაცნობა და გადაღება, ასევე 23.06.2017 წლის სხდომის ოქმის ვიდეოჩანაწერი.

2017 წლის 18 ივლისს -- -- ჩაბარდა CD დისკი 23.06.2017 წლის სხდომის ოქმის ჩანაწერით და საქმის მასალების ასლები.

2017 წლის 26 ივლისს -- -- -- საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 23 ივნისის გადაწყვეტილება გაასაჩივრა -- სააპელაციო სასამართლოში.

-- სააპელაციო სასამართლოს 2017 წლის 17 ოქტომბრის განჩინებით -- -- სააპელაციო საჩივარი, როგორც დაუშვებელი, დარჩა განუხილველი.

3. დამოუკიდებელი ინსპექტორის დასკვნა:

-- -- 2017 წლის 31 ივლისის №-- საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები არ შეიცავს მოსამართლე -- -- მიერ „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ნიშნებს (2018 წლის 1 მაისამდე მოქმედი რედაქცია).

4. საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^1 მუხლის მე-2 პუნქტი განსაზღვრავს მოსამართლის დისციპლინური გადაცდომის სახეებს. იმისათვის, რომ დადგინდეს ქონდა თუ არა ადგილი მოსამართლის მიერ შესაბამისი გადაცდომის ჩადენის ფაქტს საჭიროა სამართლებრივი შეფასება მივცეთ მოცემულ საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და შევაფასოთ კონკრეტული ფაქტები შეიცავენ თუ არა დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს.

ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ საქართველოს კონსტიტუციის 84-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, არავის არა აქვს უფლება მოსთხოვოს მოსამართლეს ანგარიში კონკრეტულ საქმეზე. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია. მოსამართლე ფაქტობრივ გარემოებებს აფასებს და გადაწყვეტილებებს იღებს მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ

აღიარებული პრინციპებისა და ნორმების, სხვა კანონების შესაბამისად და თავისი შინაგანი რწმენის საფუძველზე. ამასთან, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{10} მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, დისციპლინური სამართალწარმოების დროს დაუშვებელია მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტების კანონიერებაზე ზედამხედველობა.

ამდენად, არსებული ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება შესაძლებელია მხოლოდ იმ თვალსაზრისით, თუ რამდენად მოქმედებდა მოსამართლე არსებული კანონმდებლობის ფარგლებში.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-5 მუხლის თანახმად, მართლმსაჯულებას სამოქალაქო საქმეებზე ახორციელებს მხოლოდ სასამართლო კანონისა და სასამართლოს წინაშე ყველა პირის თანასწორობის საწყისებზე.

ბანგალორის პრინციპების 2.2 მუხლის თანახმად მოსამართლემ უნდა უზრუნველყოს რომ მისი ქცევა როგორც სასამართლოში, ასევე მის გარეთ იცავდეს და ამაღლებდეს მოსამართლისა და სასამართლოს მიუკერძოებლობის მიმართ ნდობას, როგორც საზოგადოების, ასევე იურიდიული პროფესიების და მხარეების მხრიდან.

ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ 2017 წლის 23 ივნისის სასამართლო სხდომის აუდიო დისკის გაანალიზებით, რომელშიც ზედმიწევნით კარგად ისმის მთელი პროცესის მიმდინარეობა არ გამოვლინდა ის გარემოება, რომ მოსამართლე არ გაცნობია საქმეს ან წარმოდგენილ მტკიცებულებებს.

რაც შეეხება, საჩივრის ავტორის მითითებას რომ მან ორჯერ მიმართა სასამართლოს აუდიო-ვიდეო ჩანაწერის მოთხოვნით რაზეც ეთქვა უარი, უნდა აღინიშნოს, რომ საქმის მასალების გამოკვლევით დგინდება, რომ -- -- წარმომადგენელმა მხოლოდ ერთხელ 2017 წლის 13 ივლისს მიმართა სასამართლოს სხდომის ვიდეოჩანაწერის მოთხოვნით, რომელიც 2017 წლის 18 ივლისს ჩაიბარა -- --.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ სსიპ საერთო სასამართლოების დეპარტამენტის არქივში 2017 წლის 23 ივნისს ჩატარებული სხდომის ოქმის ვიდეო ჩანაწერი არ მოიძებნა (1026-ო წერილი), თუმცა, ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გარემოებაზე რომ სხდომის ოქმის აუდიო ჩანაწერის მოსმენით ასეთი გარემოება არ გამოკვეთილა. მსგავს გარემოებასთან მიმართებაში მოსამართლის აცილების საკითხი, ან რაიმე ფორმით უკმაყოფილება პროცესის მიმდინარეობისას საჩივრის ავტორის მხრიდან არ გამოვლენილა, რაც თავის მხრივ გამორიცხავს ასეთი ფაქტის რეალურად არსებობის შესაძლებლობას.

5. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{12} მუხლის პირველი პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ დისციპლინური საქმის გამოკვლევის შედეგად მოსამართლის მიერ ამ კანონით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი ან ბრალეული ჩადენა არ დადასტურდა.

,,საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სადისციპლინო საკითხზე გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ფარული კენჭისყრით მხარს დაუჭერს საბჭოს სრული შემადგენლობის არანაკლებ 2/3-ისა. საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ საჩივარზე შესაბამისი გარემოებების შესწავლისა და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასების შედეგად მიიჩნია, რომ არ არსებობს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{1} მუხლით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი. შესაბამისად, 2018 წლის 14 მაისის სადისციპლინო სხდომაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად (სადისციპლინო სხდომაზე დამსწრე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 13 წევრთაგან 13 ხმით, სრული შემადგენლობის 2/3-ის უმრავლესობა), მიიჩნია, რომ მოსამართლე -- -- მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ იხელმძღვანელა ,,საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლით, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{10} მუხლის მეხუთე პუნქტითა და „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{12} მუხლის პირველი პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

დისციპლინურ საქმეზე №136/17 მოსამართლე -- -- მიმართ შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

გიორგი მიქაუტაძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი